ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

CSRDG
Center for Strategic Research and Development of Georgia

meliora
საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი

2022

სასპონსორო შეთავაზება

კონკურსის შესახებ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) წელს უკვე მეოთხედ ატარებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო ინიციატივების ყოველწლიურ კონკურსს - საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსს Meliora.

Meliora ლათინური სიტყვაა და "საუკეთესოს" ნიშნავს. კონკურსი Meliora ყოველწლიურად გამოავლენს და აჯილდოებს საქართველოში მოქმედ იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ შთამაგონებელ და სამაგალითო პროექტებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში.

კონკურსის მიზანი

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora არის ეროვნული მასშტაბის წამოწყება, რომლის მიზნებია: გამოავლინოს და ფართო საზოგადოებას გააცნოს საუკეთესო CSR-პროექტები და მათი განმახორციელებელი პასუხისმგებელი კომპანიები; კომპანიებს გაუჩინოს მოტივაცია, დანერგონ CSR-პრინციპები საკუთარ საქმიანობაში და გახდნენ სამაგალითო სხვებისთვის.

კონკურსის კატეგორიები

კონკურსი შედგება ექვსი თემატური კატეგორიისაგან, რომლებიც მოიცავს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ყველა ძირითად სფეროს:

- მწვანე ინიციატივა;
- პასუხისმგებელი დამსაქმებელი;
- კეთილსინდისიერი საქმიანობა ბაზარზე;
- საზოგადოების მხარდაჭერა;
- სექტორთა პარტნიორობა - გაზიარებული პასუხისმგებლობა;
- გამჭვირვალობა და ანგარიშგება კორპორაციული პასუხისმგებლობის და მდგრადობის საკითხებზე.

სპეციალური კატეგორია:

- წლის CSR - მენეჯერი;

უმაღლესი ჯილდო (გრანპრი) - წლის პასუხისმგებელი ბიზნესის წოდება მიენიჭება ცალკე მსხვილ და ცალკე მცირე / საშუალო ზომის კომპანიას:

- წლის პასუხისმგებელი მსხვილი კომპანია
- წლის პასუხისმგებელი მცირე / საშუალო კომპანია

MELIORA წინა წლებში

კონკურსმა დაარსების დღიდანვე შეიძინა სტრატეგიული პარტნიორები და მხარდამჭერები, მათ შორის წამყვანი ბიზნეს ასოციაციები, სამინისტროები, პარლამენტის კომიტეტები და მედია პარტნიორები. წლების განმავლობაში კონკურსს ჰყავდა 25-ზე მეტი მხარდამჭერი. 2018-2020 წლებში კონკურსში მონაწილეობა მიიღო 90-მდე კომპანიამ 200-ზე მეტი პროექტით.

მედია დაფარვა

ამ წლების განმავლობაში კონკურსის შესახებ მომზადდა 100-მდე სატელევიზიო სიუჟეტი, 10-მდე რადიო გადაცემა და 100-ზე მეტი სტატია ონლაინ თუ ბეჭდურ ჟურნალებში.

წინა წლების დაჯილდოების ღონისძიებები

2022 წლის კონკურსის განრიგი

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი "Meliora" განაცხადების მიღებას დაიწყებს 2022 წლის ნოემბერში.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 10 თებერვალი.

დაჯილდოების ღონისძიება გაიმართება 2023 წლის ზაფხულში.

რა სარგებელს მოგიტანთ კონკურსის სპონსორობა

ლიდერობა CSR-ის სფეროში

- კონკურსის სპონსორობა გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას, დაუკავშიროთ თქვენი ბრენდი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თემას და წარმოაჩინოთ თქვენი კომპანია, როგორც ლიდერი CSR-ის სფეროში;
- ხელი შეუწყოთ ბიზნესის წარმოების ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას საქართველოში;

ცნობადობის გაზრდა

- კონკურსის სპონსორობა შესაძლებლობას მოგცემთ, ისარგებლოთ კონკურსის ექსკლუზიური მედიადაფარვით;
- თქვენი კომპანიის ლოგო განთავსდება კონკურსის ვებგვერდზე, რომელსაც ეწვევა ასობით მნახველი;
- კონკურსის შესახებ ინფორმაციას გაავრცელებს კონკურსის ყველა პარტნიორი და მხარდამჭერი ორგანიზაცია.

კომუნიკაცია

- დაჯილდოების ღონისძიებაზე მოწვეული იქნება 250-მდე სტუმარი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებებიდან, საქართველოს წამყვანი ბიზნეს კომპანიები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ევროპელი ექსპერტები და მედია;

გახსოვდეთ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად, კონკურსის სპონსორებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

სასპონსორო შესაძლებლობა

გენერალური სპონსორი

ოქროს სპონსორი

სპონსორი

სარგებელი	გენერალური სპონსორი	ოქროს სპონსორი	სპონსორი
კონკურსის მთელი მსვლელობისას			
პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის სპონსორის აღმნიშვნელი ლოგოს გამოყენების უფლება საკუთარ საკომუნიკაციო მასალაში.	■		
სპონსორის ლოგოს განთავსება კონკურსის ვებგვერდზე.	■	■	■
სპონსორის დასახელება /ლოგოს განთავსება კონკურსთან დაკავშირებულ საკომუნიკაციო მასალებში.	■	■	■
დაჯილდოების ღონისძიებაზე			
კომპანიის ზედა დონის მენეჯმენტის წარმომადგენელს საშუალება ექნება გადასცეს ჯილდო ერთ-ერთი თემატური კატეგორიის გამარჯვებულს.	■		
დაჯილდოების ცერემონიაზე მოკლე სიტყვით გამოსვლა.	■		
გალა ღონისძიების მონაწილეებისათვის ან კონკურსის მონაწილე კომპანიებისათვის სპონსორის ბრენდირებული საჩუქრების გადაცემის შესაძლებლობა (სურვილის შემთხვევაში).	■	■	
სპონსორი ორგანიზაციის CSR პოლიტიკსა და საქმიანობის მოკლე აღწერა (50 სიტყვა) განთავსდება გამარჯვებული პროექტების შესახებ კატალოგში, რომელიც დარიგდება გალა ღონისძიებაზე.	■	■	
დაჯილდოების ღონისძიებაზე მოეწყობა სპონსორების გამოფენა, სადაც სპონსორებს შესაძლებლობა მიეცემათ განათავსონ საკუთარი მაგიდა, ბანერი და პრომო მასალები (გამოფენის თაობაზე მომზადდება ფოტო რელიზი).	■	■	■
სცენაზე რამდენჯერმე დასახელდება სპონსორების სახელები.	■	■	■
სპონსორის ლოგო განთავსდება ღონისძიების ელექტრონულ და ბეჭდურ საკომუნიკაციო მასალაში (საინფორმაციო ლიფლეტი, გამარჯვებული პროექტების შესახებ კატალოგი და ა.შ.).	■	■	■
სპონსორის ლოგო განთავსდება საიმიჯო ბანერზე, შესაბამისი სტატუსით.	■	■	■
კონკურსის გალა ღონისძიებაზე მოსაწვევი (2 ადამიანი).	■	■	■

სარგებელი	გენერალური სპონსორი	ოქროს სპონსორი	სპონსორი
კონკურსის შემდეგ			
სპონსორები დასახელდებიან პრეს-რელიზებში გამარჯვებული პროექტების შესახებ.			
სპონსორების ლოგოები განთავსებული იქნება კონკურსის ვებგვერდზე ერთი წლის განმავლობაში.			
გამაჯვებული პროექტების შესახებ კატალოგი, სპონსორების ლოგოებით, განთავსებული იქნება კონკურსის ვებგვერდზე ერთი წლის განმავლობაში.			
დაჯილდოების ღონისძიების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა, განთავსებული იქნება კონკურსის ვებგვერდზე ერთი წლის განმავლობაში.			

NB: გენერალური სპონსორის ლოგო უფრო დიდია, ვიდრე ოქროს სპონსორისა და სპონსორისა, მაგრამ უფრო პატარა, ვიდრე ორგანიზატორებისა;

ოქროს სპონსორის ლოგო უფრო დიდია, ვიდრე სპონსორისა, მაგრამ უფრო პატარა, ვიდრე გენერალური სპონსორისა და ორგანიზატორებისა.

კონკურსს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ 1 გენერალური და მაქსიმუმ 3 ოქროს სპონსორი.

კონკურსის პარტნიორები

კონკურსის მედია პარტნიორები

2018 წლის კონკურსის სპონსორები

2019 წლის კონკურსის სპონსორები

2020 წლის კონკურსის სპონსორი

საკონტაქტო პირი

სალომე თოფურიძე, ტელ: 599 326 555, ელფოსტა: salometopuridze@csrdg.ge

კონკურსის ვებგვერდი: www.meliora.ge